

მესტიის მუნიციპალიტეტში დაცული ტერიტორიის შექმნის
შესაძლებლობის კვლევა ეკოსისტემური სერვისების შეფასების მეშვეობით

ნათია ჯაჭვლიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის სიცოცხლის
შემსწავლელ მეცნიერებათა (ეკოლოგია) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა (ეკოლოგია,
მოლეკულური ბიომეცნიერებები, ბიოფარმაცია, ნეირომეცნიერებები)

მიმართულება: ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ირაკლი მაჭარაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

აბსტრაქტი

ზემო სვანეთი როგორც ბუნებრივი გარემოთი და უძველესი კულტურით გამორჩეული მხარეა. აქ ვხვდებით როგორც ხელუხლებელ, ისე ადამიანის ზემოქმედების შედეგად სახეცვლილ ლანდშაფტებს. ამჟამად ზემო სვანეთის ქვედა ზონის თემებში (ხაიში, იდლიანი, ჭუბერი და ნაკრა) როგორც გარემოს დაცვის, ისე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით რთული სიტუაციაა. ზემო სვანეთი სხვადასხვა ხეობებში განსახლებული თემებისგან შედგება, სადაც ტრადიციების მატარებელი ძირძველი მოსახლეობა ცხოვრობს და მათ ეს ტრადიციები დღემდე შენარჩუნებული აქვთ. ადგილობრივი მოსახლეობა საუკუნეების განმავლობაში სარგებლობდა ეკოსისტემური სერვისებით და მათ საბინადრო გარემოს ტრადიციულად მმართველობდა და იცავდა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ზემო სვანეთის ქვედა ზონის თემებში (ხაიში, იდლიანი, ჭუბერი და ნაკრა - შემდგომში საკვლევ ტერიტორია) ტყის მდგრადი მართვის უზრუნველყოფის მიზნით დაცული ტერიტორიის შექმნის შესაძლებლობების შესწავლა. ასევე დადგენა, თუ რომელი კატეგორიის დაცული ტერიტორიის შექმნა იქნება უფრო მისაღები გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით და მხარდაჭერილი ადგილობრივი თემების მიერ.

დაცული ტერიტორიის დაარსების შესაძლებლობის განსაზღვრისთვის ნაწილობრივ ვიხელმძღვანელე „დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურის“ მიხედვით, მიმოვიხილე საკვლევ არეალის ბიოტური და აბიოტური ფაქტორები, ბუნებათსარგებლობის ისტორია ზემო სვანეთში, დავამუშავე საჯარო ინფორმაცია ტყითსარგებლობის და გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ. აგრეთვე მიმოვიხილე დაცული ტერიტორიების მართვისა და საზოგადოების მონაწილეობის ტიპები და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მართული დაცული ტერიტორიების მაგალითები. ჩავატარე საკვლევ არეალში მცხოვრებ მოსახლეობასთან სიღრმისეული ინტერვიუები, მოსახლეობის დამოკიდებულების განსაზღვრისთვის ტყის/ბუნებრივი რესურსების მართვასთან, საკუთრების ფორმებთან და მოხმარებასთან დაკავშირებით.

ეკოსისტემური სერვისების შეფასებისა და ეკოსისტემური სერვისების ცვლილების ანალიზისთვის გამოყენებულია TEEB (The Economy of Ecosystems and Biodiversity) მიდგომა. ტყეების გამოყენების, ტყის საფარის კარგვის, მიწათსარგებლობის (მათ შორის ხე-ტყის დამზადების და სხვა ბუნებრივი ლიცენზიები) შესახებ ინფორმაციის მისაღებად და გასაანალიზებლად გამოყენებული იქნა ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი (www.atlas.mepa.gov.ge).

კვლევამ აჩვენა, რომ საკვლევ არეალში შესაძლებელია შეიქმნას დაცული ტერიტორია კატეგორიით - „მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორია“, რომელიც მართული იქნება ადგილობრივი თემების მიერ. აღნიშნული დაცული ტერიტორიის დაარსება მმართველობის ამ ტიპით ხელს შეუწყობს, როგორც ბიომრავალფეროვნების დაცვას ისე ადგილობრივი თემების ტრადიციების შენარჩუნებას, ასევე მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: ზემო სვანეთი, ტყის მდგრადი მართვა, მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორია, ეკოსისტემური სერვისები, ზურმუხტის ქსელი.